შ.პ.ს. საპროექტო,
არქიტექტურულ–დიზაინერული სტუდია
„ბაზისი XXI“
საქართველო. თბილისი.
დავით აღმაშენებლის გამზ. №63-ა
ტელ. (+995 595) 27 21 27
e-mail: bazisi_xxi@yahoo.com
№ 60/18

L.T.D. projecting,
architect-design studio
„BAZISI XXI“
63a Agmashenebeli av.
Tbilisi. Georgia
mob. (+995 595) 27 21 27
e-mail: bazisi_xxi@yahoo.com
„29“ მარტი 2018წ

საექსპერტო შეფასება (დასკვნა)

ქ. თბილისში, სექტორი-კრწანისი, ქუჩა ნარიმანოვი, №12, (ნაკვ. 02/020) / ქალაქი თბილისი, ქუჩა ნარიმანოვი, №12, (ნაკვ. 02/021) შ.პ.ს. „ემ. ჯი. ალიანსი“-ს (ID 406175758) საკუთრების მიწის ნაკვეთზე № 01.18.01.002.210 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (ბლოკი: №4; №5; №6) კორექტირებული პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.

ექსპერტიზაზე განსახილველად წარმოდგენილია ზემოთაღნიშნულ მისამართზე მდებარე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული პროექტის (ბლოკი: №4; №5; №6):

1. კონსტრუქციული ნაწილი (ბლოკი: №4; №5; №6), აკინძული ალბომის სახით;
2. არქიტექტურული ნაწილი ელექტრონული ვერსიის სახით;
3. სამშენებლო მოედნის ტოპოგადაღება და გეოლოგიური კვლევა-ძიების მასალები;
4. კონსტრუქციული ნაწილის ანგარიშები, შესრულებული პროგრამული კომპლექსის „MONOMAX 4.5“-ის საშუალებით, აკინძული ალბომის სახით.

დამკვეთი:	შ.პ.ს. „ემ. ჯი. ალიანსი“ ID 406175758
ექსპერტიზის დამკვეთი:	შ.პ.ს. „მონოლით ჯგუფი“ ID 405017627
პრ. მთ. არქიტექტორი:	გ. ბენდელიანი, შ.პ.ს. „ბიჯი“ ID 404589818
პრ. მთ. ინჟინერი:	ზ. ჯულუხიძე, შ.პ.ს. „მონოლით ჯგუფი“
კონსტრუქტორი:	გ. დედალამაზიშვილი „მონოლით ჯგუფი“
ექსპერტი-კონსტრუქტორი:	ვ. ჯაფარიძე, შ.პ.ს. „ბაზისი XXI“

საპროექტო შენობა წარმოადგენს სამი ბლოკისაგან (ბლოკი №4; ბლოკი №5; და ბლოკი №6) შედგენილ ნაგებობას, რომლებიც ერთმანეთისაგან გამოყოფილია სეისმური (სადეფორმაციო) ნაკერებით.

ბლოკი №4-ის შენობა რვასართულიანია, რელიეფიდან გამომდინარე ქვედა ორი სართული ნაწილობრივ მიწისქვეშაა.

ბლოკი №4-ის შენობა წარმოადგენს საცხოვრებელი კომპლექსის ნაწილს და განთავსებულია „1“–„5“ და „ა“–„ზ“ ღერძებს შორის. ბლოკ №4-ს „ზ“ ღერძთან ესაზღვრება ბლოკი №5, რომელთანაც გამოყოფილია სეისმური (სადეფორმაციო) ნაკერით.

ბლოკი №5-ის შენობა თექვსმეტსართულიანია, რელიეფიდან გამომდინარე ქვედა სამი სართული ნაწილობრივ მიწისქვეშაა. ბლოკი №5-ის შენობა წარმოადგენს საცხოვრებელი კომპლექსის ნაწილს და განთავსებულია „1“–„4“ და „ა“–„კ“ ღერძებს შორის. ბლოკ №5-ს „ა“ ღერძთან ესაზღვრება ბლოკი №4; „კ“ ღერძთან ესაზღვრება ბლოკი №6. ბლოკები ერთმანეთისაგან გამოყოფილია სეისმური (სადეფორმაციო) ნაკერით.

ბლოკი №4 და ბლოკი №5 მშენებარეა, ბლოკი №6-ის მშენებლობა დაწყებული არ არის. პროექტის კორექტირება ბლოკი №4-ის და ბლოკი №5-ის არავითარ ცვლილებას არ ითვალისწინებს, ცვლილებები ეხება მხოლოდ ბლოკ №6-ს. ადრე შეთანხმებული საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით, ბლოკი №6-ის შენობა იყო ორ-სამსართულიანი, კორექტირების შემდეგ, „1“ ღერძს გარეთ დაემატა 2 სართული. ბლოკი №6-ის ქვედა სართულების ძველი გეგმარება: -12,60; -9.60 და -6.60 ნიშნულებზე, კორექტირების შედეგად არ იცვლება.

რელიეფიდან გამომდინარე სართულები -12,60; -9.60 და -6.60 ნიშნულებზე, ნაწილობრივ მიწისქვეშაა განთავსებული. დამატებული სართული „1"–„1ა" ღერძებში -3,60 ნიშნულზე რელიეფიდან გამომდინარე ნაწილობრივ მიწისქვეშაა განთავსებული, ხოლო დამატებული სართული „1"–„1ა" ღერძებში 0,00 ნიშნულზე მიწისზედაა.

ბლოკი №6-ის შენობა წარმოადგენს საცხოვრებელი კომპლექსის ნაწილს და განთავსებულია „1"–„3" და „ა"–„ი" ღერძებს შორის. ბლოკ №6-ს „ა" ღერძთან ესაზღვრება ბლოკი №5, რომელთანაც გამოყოფილია სეისმური (სადეფორმაციო) ნაკერით.

კორექტირებული ბლოკი №6-ის შენობა, რთული რელიეფიდან გამომდინარე, დაპროექტებულია ტერასული განლაგებით. ნაგებობა „2"–„3" ღერძებს შორის სამსართულიანია, „1"–„2" ღერძებს შორის ორსართულიანია, „1"–„1ა" ღერძებს შორის ორსართულიანია.

ბლოკი №6-ის შენობა გეგმაში რთული ფორმისაა, შენობის სვეტების მაქსიმალური ბიჯი გრძივი მიმართულებით შეადგენს: 6,25მ, ბოლო მალი 7,54მ.
შენობის სვეტების მაქსიმალური ბიჯი განივი მიმართულებით შეადგენს: 6,50მ და 7,60მ ქვედა სამი სართულის სიმაღლე შეადგენს 3,00მ; დამატებული I სართულის სიმაღლე შედგენს 3,60მ. დამატებული II სართულის სიმაღლე 4,20მ და 5,40მ.

პირობით ნიშნულს (I სართულის იატაკის დონეს) 0.00-ს შეესაბამება აბსოლუტური ნიშნული +430,30.

სამშენებლო მოედანი მიეკუთვნება 7 ბალიანი სეისმურობის ზონას. (რადგანაც სამივე ბლოკის საძირკვლების ფუძეს წარმოადგენს მაღალი სიმტკიცის, სუსტადგამოფიტული კლდოვანი ქანები, მოქმედი სამშენებლო ნორმების თანახმად, სამშენებლო მოედნის სეისმურობაზე ერთი ბალის დაკლება დასაშვებია)

ქარის ნორმატიული დატვირთვა (10მ. სიმაღლეზე მიზის ზედაპირიდან) შეადგენს 70კგ/მ^2; თოვლის საფარის ნორმატიული დატვირთვა 50კგ/მ^2.
შენობების პირობით ნიშნულად 0.00 მიღებულია I სართულის იატაკის დონე 0.00=430,30მ.

საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე საძირკვლების ფუძედ მიღებულია ძირითადი ქანები, 3-სგე (სუსტადგამოფიტული კლდოვანი ქანები), საანგარიშო წინაღობით ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში R_c=215,0კგძ/სმ^2.

კორექტირებული შენობის კონსტრუქციული ელემენტების დახასიათება (ბლოკი „ნ"):

- საძირკვლები: „1ა"; „1" და „2" ღერძებზე დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონის წერტილოვანი ტიპის სახით, გაბარიტული ზომებით: 100X100სმ. მომიჯნავე ბლოკთან №5, „ა"-„2" ღერძზე გამოყენებულია ბლოკი №5-ის წერტილოვანი საძირკვლები; „3" ღერძებზე დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონის ბურღვით დანატენი ხიმინჯების სახით, დიამეტრით 100სმ. საძირკვლების ძირის მინიმალური ჩაღრმავება ძირითად ქანებში შეადგენს 0,5 მეტრს.
- საძირკვლების ქვეშ გათვალისწინებულია ბეტონის მოსამზადებელი ფენა B-25 კლასის ბეტონისაგან, მინიმუმ 10სმ სისქის. ძირითად ქანებში საძირკვლების ძირის ჩაღრმავება ხორციელდება ბეტონის მოსამზადებელი ფენის სიმაღლის ცვლილების მიხედვით.
- საძირკვლები თავის ნიშნულზე, შეკრულია მონოლითური რკ/ბეტონის კოჭებით გრძივი და განივი მიმართულებით. კოჭების განივი კვეთი შეადგენს 50X50(h)სმ;
- გარე კედლები მიწისქვეშა ნაწილში, დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონისაგან სისქით 20სმ;
- სვეტები დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონისაგან, მართკუთხა განივი კვეთებით: 40X80სმ; 40X40სმ; 50X50სმ; მრგვალი ფორმის, დიამეტრით d=50სმ;

- სართულშუა გადახურვის ფილები „1“–„3“ ღერძებში დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონისაგან ურიგელო ტიპის სახით, შენობის შიდა ნაწილში, სისქით 25სმ; გარე კონტურზე ფილა გაძლიერებულია მონოლითური რკ/ბეტონის კოჭებით, განივი კვეთით 40X60(h)სმ; გადახურვის ფილები „1ა“–„1“ ღერძებში დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონისაგან სისქით 20სმ, გაძლიერებული გრძივი და განივი მიმართულებით მონოლითური რკ/ბეტონის კოჭებით, განივი კვეთით 40X60(h)სმ;
- კიბის უჯრედი დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონის მარშებით, ბაქნებით და საფეხურებით. კიბის ფილის სისქე შეადგენს 16სმ;

ბლოკი №6-ის შენობა კონსტრუქციული სქემის მიხედვით მონოლითური რკ/ბეტონის კარკასული ტიპისაა, ხისტი კვანძებით. ბეტონის საპროექტო კლასი (მარკა) შეადგენს: B-25 (M-327); არმატურების საპროექტო კლასი მზიდ კონსტრუქციებში: A -240 და A-500c

კორექტირებულ პროექტს თან ერთვის ბლოკი №6-ის ძირითადი მზიდი კონსტრუქციული სისტემის სივრცული ანგარიშის შედეგები, აკინძული ალბომის სახით; ანგარიშები შესრულებულია პროგრამული კომპლექსის „ MONOMAX 4.5“-ის საშუალებით, კორექტირებული კონსტრუქციული სქემის შესაბამისად.

ნაგებობის მზიდი კონსტრუქციები დაპროექტებულია შენობის მზიდი კარკასის სივრცული ანგარიშის შედეგების მიხედვით.

დასკვნა:

ქ. თბილისში, სექტორი-კრწანისი, ქუჩა ნარიმანოვი, №12, (ნაკვ. 02/020) / ქალაქი თბილისი, ქუჩა ნარიმანოვი, №12, (ნაკვ. 02/021) შ.პ.ს. „ემ. ჯი. ალიანსი“-ს (ID 406175758) საკუთრების მიწის ნაკვეთზე № 01.18.01.002.210 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (ბლოკი: №4; №5; №6) კორექტირებული პროექტის კონსტრუქციული ნაწილი დამუშავებულია საკმარისი მოცულობით, მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისობაში.

პროექტის გრაფიკული ნაწილისა და შენობის ძირითადი მზიდი კონსტრუქციული სისტემის სივრცული ანგარიშის შედეგების ანალიზის საფუძველზე ექსპერტიზა დადებით შეფასებას აძლევს კორექტირებული პროექტის კონსტრუქციულ ნაწილს და რეკომენდაციას უწევს მას მშენებლობის ნაბართვის მისაღებად.

შ.პ.ს. „ბაზისი XXI“-ის
აღმასრულებელი დირექტორი,
ექსპერტი–კონსტრუქტორი: /ვახტანგ ჯაფარიძე/

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის ნომერი: 115518
განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B10105547
ამონაწერის მომზადების თარიღი: 03/09/2010 15:40:23

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს ბაზისი XXI
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ძველი თბილისის რაიონში, აღმაშენებლის გამზირი 63ა
საიდენტიფიკაციო კოდი:	202235296
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი:	12/12/2003
სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი:	2/4-3679
მარეგისტრირებელი ორგანო:	დიდუბე-ჩუღურეთის სასამართლო
საგადასახადო ინსპექცია:	თბილისის რეგ.ცენტრი ძველი თბილისის გ-ბა

ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები

- 01001003423, იოსებ ცერცვაძე,
  გენერალური დირექტორი, ,
- 01005021796, ვახტანგ ჯაფარიძე,
  , , აღმასრულებელი დირექტორი

პარტნიორები

	წილი	ანგარიშის ნომერი
01001003423, იოსებ ცერცვაძე,	100.00000000%	202235296-SH-00001

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება:

რეგისტრირებული არ არის

დიპლომი

წარჩინებით

ИВ № 257304

ეს დიპლომი მიეცა ჯაფარიძე
ვახტანგ გივის ძეს
მასზე, რომ იგი 1980 წელს შევიდა
საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში
[illegible]
და 1985 წელს დაამთავრა
[illegible]
[illegible]
სრული კურსი სპეციალობით [illegible]
და [illegible]

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1985 წ.
„3" [illegible] დადგენილებით
[illegible]
[illegible]
კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო
კომისიის თავმჯდომარე

ბ. ა.

ქალაქი თბილისი 1986 წ. „29" 05

1276

ДИПЛОМ

С ОТЛИЧИЕМ

ИВ № 257304

Настоящий диплом выдан Джапаридзе
Вахтангу Гивиевичу
в том, что он в 1980 году поступил
в Грузинский политехнический
институт им. В.И. Ленина
и в 1985 году окончил полный курс
названного
института
по специальности промышленное
и гражданское
строительство

Решением Государственной экзаменационной
комиссии от [illegible] 1985 г.
[illegible] В.Г.
присвоена квалификация инженера-
строителя

Председатель Государственной
экзаменационной комиссии

М. П. Город Тбилиси „29" 05 1986 г.

1276

Georgia IDENTITY CARD
საქართველო
GEO



სახელი / FIRST NAME
ვახტანგ
VAKHTANG
გვარი / LAST NAME
ჯაფარიძე
JAPARIDZE
მოქალაქეობა / CIT | სქესი / SEX | პირადი No / PERSONAL No
GEO | მ / M | 01005021796
დაბადების თარიღი / DATE OF BIRTH | მოქმედების ვადა / DATE OF EXPIRY
10.06.1963 | 26.06.2026
ბარათის No / CARD No
15IC19267
ხელმოწერა / SIGNATURE

დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
თბილისი
TBILISI
გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
26.06.2016
გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE

IDGEO15IC19267501005021796<<<<
6306106M2606266GEO<<<<<<<<<<<1
JAPARIDZE<<VAKHTANG<<<<<<<<<<<

<u>ინფორმაცია საპროექტო და საექსპერტო სამუშაოთა შესახებ</u>

მე, ვახტანგ ჯაფარიძე, 1985 წლიდან ვეწევი საპროექტო საქმიანობას შ.პ.ს. „თბილქალაქ-პროექტ"-ში; 1997 წლიდან ვთანამშრომლობ სხვადასხვა საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციებთან, სადაც ვასრულებ საპროექტო და საექსპერტო სამუშაოებს; ასევე ვეწევი სამშენებლო ობიექტების ტექნიკურ ზედამხედველობას. 2004 წლიდან ვარ შ.პ.ს. „ბაზისი XXI"-ის აღმასრულებელი დირექტორი და მთავარი კონსტრუქტორი.

<u>ჩემი უშუალო ხელმძღვანელობით დამუშავებულია შემდეგი ობიექტები:</u>

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი საგარეჯოს ქ. №7-7ა;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ქეთევან წამებულის გამზ. №15-17;
- მიწისძვრისაგან დაზიანებული, ქ. თბილისის მე-4 საშუალო სკოლის გამაგრების პროექტი;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები ალ. ყაზბეგის გამზ. №34-ში;
- 10 სართულიანი ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრის პროექტი ქ. თბილისის I კლინიკური საავადმყოფოს ტერიტორიაზე;
- ღვინის ქარხანა ყვარელის რ/ნ, სოფელ შილდაში;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი საბურთალოს ქ. №31;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი შატბერაშვილის ქ. №7 და შატბერაშვილის ქ. №9;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი მარუხის გმირების ქ. №11;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ვ. ივერიელის ქ. №32 / საბადურის ქ. №32-32ა, №34;
- მრავალი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.

<u>ბოლო 5 წლის განმავლობაში ჩატარებული საექსპერტო სამუშაოები:</u>

- ქ. გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფში, სოფელ სართიჭალასა და სოფელ საკაძეში, შ.პ.ს. „ჩირინა"-ს მეფრინველეობის კომპლექსის ტერიტორიაზე, მდებარე შენობების საერთო მდგრადობისა და ნაგებობის მზიდი კონსტრუქციების საპროექტო მონაცემებთან შესაბამისობის შესახებ; საექსპერტო შეფასებები კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. თბილისში, შავიშვილის ქ. №1 / ქავთარაძის ქ. №19, შ.პ.ს. „მონოლით ჯგუფი"-ს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. გურჯაანში, თავისუფლების ქუჩა № 6-ში, „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმ"-ის ავტოგასამართი კომპლექსის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. თბილისში, დასახლება აეროდრომი, ქუჩა I, №20/ქ. თბილისი, აეროდრომის დასახლება მე-3 ქუჩა №17/ ქ. თბილისი, აეროდრომის დასახლება I ქუჩა №22, ე.ს. ამხანაგობა „იმედი 2015"-ის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. თბილისში, ქინძმარაულის I შესახვევი №1-ში, შ.პ.ს. „უნიმედი კახეთი"-ს მიწის ნაკვეთზე მდებარე არსებული რეფერალური ჰოსპიტალის შენობის გამაგრება-გაძლიერების პროექტზე.
- ქ. რუსთავში, სექტორი-ჟ. შარტავა, მიკრო/რაიონი XXI, №16 და №22 სახლებს შორის მიმდებარე ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქალაქ თბილისში, ქუჩა უშანგი ჩხეიძის, №12-14-16 შ.პ.ს. „ბელი"-ს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. თბილისში, შატბერაშვილის ქუჩა №74, შ.პ.ს. „სალვუს დეველოპმენტი"-ს დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელი სახლის კორექტირებული პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქალაქ თბილისში, ქუჩა წინანდალი №9 შ.პ.ს. „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ"-ს საგანმანათლებლო ცენტრის შენობის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. თბილისში, სექტორი-სამგორი, კახეთის გზატკეცილის მე-7 კმ-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, შ.პ.ს. „R.I.G. GAS"-ის ნავთობბაზის ობიექტების პროექტის კონსრტუქციულ ნაწილზე
- ქ. თბილისში, ქუჩა წინანდლის, №9, (ნაკვეთი №01/107) შ.პ.ს. „კარდიოლოგიური კლინიკა გული"-ს საკუთრების მიწის ნაკვეთზე № 01.17.13.001.315 არსებული საავადმყოფოს რეკონსტრუქციის (დაშენება-გადაჯდომით) პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე
- ქ. თბილისში, სექტორი-საბურთალო, დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი I და ფარნავაზ მეფის გამზირს შორის, შ.პ.ს. „აკა"-ს საკუთრების მიწის ნაკვეთზე №01.10.06.009.042 მრავალფუნქციური კომპლექსის შენობის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე
- ქ. თბილისში, ქუჩა ნარიმანოვი, №12, შ.პ.ს. „ემ. ჯი. ალიანსი"-ს საკუთრების მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხ. სახლის (ბლოკი: №1–№6) პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.

მოწოდებულ ინფორმაციას ვადასტურებ,
შ.პ.ს. „ბაზისი XXI"-ის
აღმასრულებელი დირექტორი: /ვ. ჯაფარიძე/

შეთავაზებული სპეციალისტის ბიოგრაფიული მონაცემები

შეთავაზებული თანამდებობა	ინჟინერ-კონსტრუქტორი
ფირმის დასახელება	„ბაზისი XXI“
გვარი, სახელი	ჯაფარიძე ვახტანგ
პირადი №	01005021796
დაბადების თარიღი	10. 06. 1963
საცხოვრებლის მისამართი	ქ. თბილისი, წყალტუბოს ქ. №20
ელ.ფოსტა	bazisi_xxi@yahoo.com
საკონტაქტო ტელეფონი	595 27 21 27
პროფესია	სამრეწველო და სამოქალაქო ობიექტების ინჟინერ-მშენებელი, დამპროექტებელი
საპროექტო ორგანიზაციაში მუშაობის სტაჟი	32 წელი
ექსპერტად მუშაობის სტაჟი	18 წელი
მოვალეობის დეტალურად აღწერა	სამრეწველო და სამოქალაქო ობიექტების კონსტრუქციების გაანგარიშება- დაპროექტება
განათლება 1980-1985წწ	უმაღლესი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, სამშენებლო ფაკულტეტი, სამრეწველო და სამოქალაქო ობიექტების ინჟინერ-მშენებელი
ძირითადი კვალიფიკაციები 1985 წლიდან დღემდე	შ.პ.ს. „თბილქალაქპროექტი“-ს წამყვანი კონსტრუქტორი, შ.პ.ს. „ბაზისი XXI“-ის მთავარი კონსტრუქტორი
დაპროექტებული ობიექტები 1985-2017წწ	მრავალი ინდივიდუალური და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, საწარმოო დანიშნულების ობიექტები, შენობების აღდგენა-გამაგრების პროექტები
თარიღი	27.03.2018წ

ენები	კითხვა	წერა	ლაპარაკი
ქართული	მშობლიური	მშობლიური	მშობლიური
რუსული	თავისუფლად	თავისუფლად	თავისუფლად

დადასტურება
მე, ქვემორე ხელისმომწერი ვადასტურებ, რომ წარმოდგენილი მონაცემები ზუსტად აღწერს ჩემს პიროვნებას, ჩემს გამოცდილებას და კვალიფიკაციას.

სპეციალისტი ვახტანგ ჯაფარიძე

